# ივერია

სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890 1877—1890

ფასი გაზეთისა

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ო. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი ქვეშერელი კობახიძენი დიდის მწუხარებით აუწყებენ თავისის უსაყვარლესის დედის, სოფიო რომანის ასულის, გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ პანაშვიდზედ, რომელიც ყოველ დღე იქმნება გადახდილი, დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. დასაფლავების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. ადრესი: კახეთის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში. (2—1)

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება. (18—6)


## ახალი ამბავი

*** დღეს მოგვივიდა ბ-ნ ვასილ მახხულიასაგან ტყიბულში შეკრებული ფული ორი თუმანი წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ. აქვე ვბეჭდავთ, შემკრებელის თხოვნით, შემომწირველთა სიასაც: მიხეილ ხიდირბეგოვი 2 მ., მაქსიმე აბულაძე 1 მ. 20 კ., ნესტორ აგიაშვილი 50 კ., პეტრე გორლოვი 1 მ., ეფიმი ბელოვი 20 კ., რადვილოვიჩი 1 მ., ვასო მახხულია 3 მ., გერასიმე იანულატი 1 მ., ვასილი ადირხაევი 1 მ., მათე თავაძე 50 კ., მიხა ყუბარაძე 30 კ., ივანე დაველიანიძე 10 კ., ნიკიფორე მაჩიტიძე 20 კ., თომა ფირცხალაშვილი 50 კ., პავლე ქორქაშვილი 25 კ., მარკოზ კეკუა 50 კ., ივანე ანდღულაძე 1 მ.. ივანე იაროსლავსკი 25 კ, ნიკოლაი პაპოვი 1 მ., ხარლამპი სოფიანოვი 20 კ., გიორგი ჩოჩუა 1 მ., ლუკა ჯანველაძე 8 კ., დათიკო საკანდელიძე 22 კ., ვარლამ კიკვიძე 30 კ., ნიკო ბარკალაი 60 კ., ირაკლი ებანაიძე 50 კ., ანდრია სულავა 50 კ., ვასილი მალანია 60 კ., და ისიდორე ქავთარაძე 50 კ. სულ 20 მან.

*** ბ-ნს გრენს თელავის მაზრის სოფ. ენისელში, ჯორჯაძეების ოჯახში, უპოვნია ერთი ძველი და ფრიად შესანიშნავი ხუცური ხელ-ნაწერი. ეს ხელ-ნაწერი ძველი ქართული კანონებია, ბერძნულიდგან ნათარგმნი. ბერძნულად იგი დაუწერია მიხეილ კონსტანტინოსს, იმპერატორ მანუელ კომნენის წიგნთ-საცავის მთავარ-გამგეს. ხელთ-ნაწერი, როგორც ეტყობა, თამარის დროისა უნდა იყოს და 1135 წ. უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ, ეს კანონების წიგნის დასაწყისი დაკარგულია, მხოლოდ ბოლოა დარჩენილი, 291—307 გვერდ. ამ 291 მხოლოდ ქორწინების კანონები იწყება და სათაურადაც „ქორწინისათვის“ აწერია. ამ კანონებში ერთგან, მაგალითებრ, ნათქვამია, რომ ვექილებს (опекунъ) ალეკრძალებათ იმათი შერთვა, ვის მზრუნველადაც არიან დანიშნულებიო. საყურადღებო უფრო-კი ის არის, რომ ეს კანონი ერთს ალაგას მოცეკვეთა და მოთამაშეთ თავის ბატონისა და ქალბატონის შერთვას უკრძალავს. აქედგან აშკარად სჩანს, რომ უწინაცა ყოფილან განსაკუთრებულნი მოცეკვავენი და მოთამაშენი. როგორც შევიტყვეთ, ბ-ნს გრენს ამ კანონების რუსულად გადათარგმნა უნდა და დაბეჭდვა. კარგი იქმნება, რომ ქართული ხელ-ნაწერი „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ შეიძინოს თავისის წიგნთ-საცავისათვის.

*** დღეს, 24 აგვისტოს, „Семейный“ ბაღში დანიშნულია ბენეფისი სოკოლოვსკებისა, ცოლ-ქმრისა. წარმოდგენილი იქნება ოპოჩინინის ორ-მოქმედებიანი პიესა „Колыбельная пѣсня“ და „მეჯლისი იტალიელებთან“, ერთ-მოქმედებიანი ოპერეტი. ქ-ნი სოკოლოვსკისა ნიჭიერი არტისტი ქალია და, თქმა არ უნდა, ჩვეულებრივ კარგად იქნება წარმოდგენილი ორივე პიესა.

*** დუშეთის მაზრის სამხედრო ბეგარის სამმართველო აცხადებს, რომ წრეულს დუშეთში პირველ ნოემბერს, დილის რვა საათზე, უნდა გამოცხადდნენ ის ყმაწვილი კაცები, რომელთაც სამხედრო ბეგარა უნდა გადაიხადონ, ახალ-გორს—ოქტომბრის 22, დილის 8 საათზე და ქვემო-მღვთს—15 ოქტომბერს, დილის 8 საათზევე.

*** სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით ტფილისის პირველ გიმნაზიის ინსპექტორი ი. ფ. დრბოგლავი დაინიშნა ტფილისისავე მეორე გიმნაზიის დირექტორად. ი. ფ. დრბოგლავი კანდიდატია პრაგის უნივერსიტეტისა და თერთმეტი წელიწადია, რაც პირველის გიმნაზიის ინსპექტორად იმყოფება. ბ-ნი დრბოგლავი, როგორც გამოცდილი პედაგოგი, დიდად დახელოვნებულია ლათინურს ენაში და ამ ენის სახელმძღვანელოც აქვს შედგენილი. ეს სახელმძღვანელო გადათარგმნეს ვენაში გერმანულს ენაზე სასწავლებლებში სახმარებლად. ბ-ნ დრბოგლავის მაგიერად-კი დაინიშნა იმავე სასწავლებლის რუსულ ენის მასწავლებელი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შულგინი.

*** ობერ-გოფმეისტერი მის იმპერატორებითის უდიდებულესობის სასახლისა თავადი ტრუბეცკოი გუშინ, ამ თვეის 23, ტფილისში ჩამობრძანდა და მუხრანსკის სახლში ჩამოხდა.

*** გუშინ, ამ თვეის 23, დილის საფოსტო სახალხო მატარებლით (№ 2) გაემგზავრა ტფილისიდგან ბორჯომში ტფილისის პოლიციის უფროსი ლ. პ. მასტიცკი და თან წაიყვანა პოლიციის ბოქაული თავ. ერისთავი, ბოქაულის თანაშემწე გლემბოცკი და თორმეტიც პოლიციისავე მოხელე. ბ-ნი ტფილისის პოლიციის უფროსი იმ აზრით მიდის ბორჯომში, რომ ციციანთა და სახელმწიფო ტყეებს, რომელთაც აგერ მეოთხე დღეა ცეცხლი აქვს გაჩენილი, მოუხერხოს რამე.

*** ტფილისის პირველ კლასსიკურს გიმნაზიაში დღეიდგან მისაღები ეგზამენები იწყება და გასტანს სამს დღეს. ას-ოც-და-შვიდი ბავშვია სულ მისული ეგზამენის დასაჭერად. ამ რიცხვში მხოლოდ ოც-და-თორმეტს მიიღებენ, რადგანაც მეტი ალაგი არ არის.

*** ბორჯომი: 21 აგვისტო: თავზარ დამცემი სურათი ეხატება მოგზაურს ხაშურ-ბორჯომის გზა-ტკეცილიდგან. ღამით მთვარე და დღისით მზე სისხლის ფერად არის ქცეული. ცა ყველგან მოწმენდილია და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე-კი ალ-კვამლშია გახვეული. ეკიდება ცეცხლი ციციანთ ტყეს და პატრონი-კი არავინ არის, ეს გაშმაგებული სტიქიონი შეაჩეროს და ამდენი სიმ-

## ფელეტონი

### დროთა ბრუნვა *)

(დრამა ოთხს მოქმედებად)

#### VII გამოსვლა

იგინივე, სოლო და მელო შემოდიან; სოლოს მელოსათვის ხელი უჭირია.

სოლო. გაიკითხეთ უსინათლო, შეგეწიოთ სიონთა ღვთის მშობლის მადლი!— „ვოტ, ბარინ, ნიშჩი, ბედნი, ხრამოი, სლეპოი, ბეზ გლაზი, ბეზ ნოსი! მამა ნეტუ, დედა ნეტუ, დაი, ბარინ, დვა კაპეიკ!“ მოწყალება მაიღეთ, შეგეწევათ დღევანდელი წირვის ძალი და მადლი!

მაია. ჰაი-გიდი, ბიჭო, დარდი არა გაქვს!

სოლო. შენ ხომ ბოლმისაგან ყელი ჩამოგსვლია. გამარჯობა, გიორგი, სადა ხარ, კაცო? გზისკენ ცქერით თვალები დაგვაწყდა! მართლა, ახალი ამბავი გიამბოთ? მელო, ყური დამიგდე, რა გავიგე-და! შემხვდა ბარხუდანაანთ გიტო და იცი, რა მითხრა? თურმე გიორგი ინიშნება და, იცი, ვისზე? გურჯაანელ თამროზე! ჰა, ჰა, ჰა! (მელო წაბარბაცდება, გიორგი დაიჭერს)

მელო. მადლობელი გახლავარ, არა მიშავს-რა, ცოტა უქეიფოდა ვარ! მაშ ამისთანებსა შვრებიან და ჩვენ არ ვიცით?

გიორგი. რა ჭორიანი ხალხია!

სოლო. საკვირველია! ახლა, გონია, მთელმა თელავმა იცის, ხვალ მთელ გურჯაანს ეცოდინება. რვეერთხელ ატირებენ საწყალს თამროს! მერე, რეები მიამბო, რომ გაიგო, მელო? დილიდამ საღამომდის სულ თამროსთან არისო, სუ ცხენით ერთად დასეირნობენ, სოფელ-სოფელ სტუმრად მარტონი დადიანო. რა ოხერი ხალხია! კიდევ გიღონდება გული? დაჯე, ქალო, ეხლანდელ ქალებს ძალიანა აქვთ ძარღვები მოშლილი, ტყუილია, მაი? უწინ ქალმა სად ეშმაკებში იცოდა გულის შეღონება!

მაია. მართალს ამბობ, შვილო! ეხლა მეტად სუსტი მოდგმაა, სუ რუსების ბრალი-კია; იმდენი შკოლა და წიგნები გაჩნდა, რომ ხალხი რეტიანივით დადის.

სოლო. ჭეშმარიტი პიტყვებია! მე და მამაჩემიც იმიტომ მოვეწიეთ სასუფეველსა, ტყუილია, გიორგი?

გიორგი. რა?.. ჰო, ჰო!

სოლო. ე როგორ დაბნეულა ხალხი. მელოს გული ულონდება, გიორგის გონება ვერ მოუკრეფია.

გიორგი. ცოტა მეც შეუძლოდა ვარ, გზამ ძალიან დამანჯღრია.

სოლო. მაშ რაღასა დგეხარ, დაჯექი? (გიორგი მელოს მოუჯდება გვერდით) თუ გინდა, წამო, მოისვენე.

გიორგი. რა საჭიროა, არა მიშავსრა.

სოლო. მაშ, მაი, მოდი ერთი ახალი ამბავი რამ გვიამბე, ქვეყანა ფეხქვეშ გაქვს ამოდებული.

მაია. შვილო, მე ახალი ამბისა რა ვიცი, შენ უფრო გეცოდინება, ხან ბაზარში გაივლი, ხან შულავერზე.

სოლო. ჰო, მართლა ვიცი, ვიცი, მაშ არაფის გაგიგიათ?

მაია. რა? აბა ერთი თქვი!

სოლო. დაიჯერო, არაფერი გაგიგია?

მაია. არა, შენმა მზემ, არაფერი.

სოლო. ჩემ მზეს რად იფიცავ... მაშ კალაურელ მკითხავისა არაფერი გაგიგია?

მაია. არა, ჩემის შვილების სიცოცხლემ! რა იყო, თქვი?

სოლო. ვაიმე, ვაიმე, ქვეყანა შეინძრა ახალი ამბითა და შენ-კი ვერაფერი გაიგე?

მაია. თავი არ მომიკვდეს, არა ვიცი-რა!

ბაბე. რა იყო, რა გაიგე?

სოლო. ვაიმე, ვაიმე, დაკეტილხართ ოთხს კედელშუა და ქვეყნიერობისა არა გესმით-რა.

მაია. რა იყო, თქვი, გენაცვალე!

სოლო. როგორ თუ რა იყო? დადალეს, ადამიანო, დადალეს!

მაია } როგორ თუ დადალეს?<br>
ბაბე } ხუმრობ?

სოლო. ხუმრობა სადაურია? ამ ერთ კვირაში ბრძანება გამოსულა, რომ ყველა მკითხავი გასინჯონ და, რომელსაც ერთის გოჯის სიგრძე კუდი ჰქონდეს, დაუდაღეთო; ვისაც მეტი—ცოცხალი დაწვითო.

მაია. ვუი, ვუი, ვუი, ვუი რას მოვესწარით!

ბაბე. ხუმრობაზედ ვერ ატყობ?

სოლო. სახუმარი აქ რა არის? აბა წადი, ბაზარში გაიარე, რაებს ამბობენ?

მაია. მართალია, კნეინავ! მეც რაღაცას ყური მოვკარ იმ დღეს, ვუი, ვუი, ვუი, ვუი!..

სოლო. დილას ბოქაულმა ხალხი შეჰყარა ზემო ბაზარში და გამოაცხადა, რომ ვის სახლშიაც კუდიანი დედაკაცია, წარმოადგინეთ, თორემ ციმბირში გაიგზავნებითო.

მაია. ვუი, ვუი, ვუი... მერე, შვილო, როგორ უნდა გაიგონ, კუდიანია თუ არა?

ბაბე. საქმე არა გაქვს, შენცა გჯერა!

სოლო. ნუ დაიჯერებ! ღვდელი, ბოქაული და პოლიციელები დადიან სახლებში და ისე ჰდალავენ. ღვდელი ერთ რაღაცა ლოცვას იტყვის, თუ კუდიანია დედაკაცი, იმ წამს დაიგრიხება და დაეცემა; დესეტნიკები გახდიან და თუ ერთი გოჯი კუდი დაუნახეს, დაუდაღავენ, თუ მეტი-და, ცოცხლივ დასწვამენ, ჯერ-კი არავინ დაუწვამთ.

ბაბე. კარგი გეყოფა ხუმრობა, დედაკაცს გული ნუ გაუხეთქე.

მაია. ვუი, ვუი, ვუი... მერე, შვილო, ბაზარში რომ შეჰყარეს ხალხი, ვინმემ გამაცხადა რამე?

სოლო. ბევრმა გამოაცხადა. ფინტიშამ თავის ბებიაზე უთხრა, კვერცხიპარიამ დედინაცვალზე! შენმა სიძემ მესროფამ შენზე უთხრა...

*) იხ. „ივერია“ № 181,

დიდრე არ გაანადგურებინოს. ციციანთ ტყეში ცეცხლის სახელის გაგონება განა პირველია? გაზაფხულიდგან მოკიდებული თითქმის შეუჩერებლად მძვინვარებს, მაგრამ უკანასკნელად ისეთის სიმძლავრით მოედო, რომ საეჭვოა გადურჩეს რამე. ცეცხლის გაძლიერებას ხელს უწყობდა გვალვა, რომელსაც ქარიც დაემატა. ამ მიზეზით ცეცხლი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულში გადმოვიდა გუშინ წინ, 19 ამ თთვისას ღამით. სულ მცირე ხანში ორი ხეობა, რომელიც მშვენიერის საშენ ნაძვნარით იყო სავსე, ფერფლად აქცია. ეკიდება დანარჩენსაც. ჯერ სამი ათას დღიურამდე ტყე გადამწვარა. ცეცხლის ალაგზე ჯერ-ხანად 400-მდე გლეხია წასხმული, და ადგილობრივი როტაც იქ არის. დეპეშებით დახმარება სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს და ახალქალაქისა და გორის მაზრის უფროსებს. ცეცხლის ქრობის დროს ცეცხლმა კაცის სიცოცხლეც იმსხვერპლა. ცეცხლ-მოდებული ხე წაიქცა, დაეცა სამს გლეხს, ერთმა მათგანმა იქავე სული განუტევა და დღეს სოფელში ჩამოიტანეს დასამარხავად, ხოლო ორნი მძიმედ დაშავდნენ, მაგრამ ექიმმა შემწეობა აღმოუჩინა და იქნება სიკვდილს გადარჩნენ. ბორჯომს ცეცხლი 12 ვერსის მანძილითა ჰშორავს და საშიშია, ვაი თუ აქაც უწიოს. ქალაქი კვამლით სავსეა, ქარს ფერფლიც-კი მოაქვს და აქა ჰყრის. ზარალის დაფასება ჯერ ხანად შეუძლებელია, მაგრამ თუ წვიმა არ მოვიდა, ფრიად სამწუხარო შედეგი მოჰყვება. 1882 წ. ცეცხლის დროს, სხვა ზარალს გარდა, მარტო ცეცხლის გაქრობაზე 7 ათას მანეთამდე იყო დახარჯული, და წრეულს-კი ცეცხლ-მოდებული ალაგი მეტია და აშკარაა, ზარალიც დიდი იქნება.

*** სოფ. შუქრეთი (შორაპნის მაზრა). სოფ. შუქრეთში სწორედ აღარ დაედგომება კაცს. ჯერ მანამდისაც ძალიან გაქუცული ხალხი სცხოვრებდა შუქრეთში და ეხლა, რაც შავი ქვის მუშაობა დაიწყეს, აქაურ გაქუცულ ბიჭებს შავის ქვის ნოქრები მიემატა და სწორედ საქმე გააჭირეს. მუდამ ჩხუბი და დავიდარაბაა ატეხილი. „მარიამობა“ დღე ისე არ ჩაივლის, რომ ჩხუბი არ მოხდეს. ამას ადგილობრივმა პოლიციამ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ვერას გახდა და წელსაც ბევრი ჩხუბი და დავიდარაბა იყო. სიკვდილით-კი არავინ მომკვდარა, მაგრამ თავ-დამტვრეული და დაბექილი-კი ბევრი წავიდა. ჩხუბის მიზეზი უფრო ის გახდა, რომ პოლიციამ მთელი ორი დღე არც ვაჭრობის ნება მისცა, არც „მუზიკისა“ და ზურნა-დაირის დაკვრისა და არც სიმღერისა. ვინც-კი გაბედა სიმღერა და მხიარულება, მაშინვე დაიჭირა. იყო გაჩუმებული ხალხი და, რომ ვერაფერი გააწყო-რა, ისევ ჩხუბს მიჰყო ხელი. გვიკვირს პოლიციის ასეთი საქციელი. ნეტა რა დასაშლელია სიმღერა და მუსიკის დაკვრა და მერე ისიც დღეობაში.

*** ფოლადოვზედ კიდევ შემდეგი ცნობებია გაზეთებში: ამ თთვის 21, ღამის 9 საათზე, სათავად-აზნაურო თეატრის ბაღში მოვიდა თურმე ელექტრონის მემაშინეს თანაშემწე სტეფან ფოლადოვი, ორი ჭიქა ლუდი დალია, შემდეგ მოითხოვა საწერ-კალამი წერა დაიწყო და სკამზედვე მიეძინა. ერთს საათს შემდეგ მოსამსახურემ დაინახა, რომ ფოლადოვს თავი ძირს ჩაეკიდა, სახე დალმეჭოდა და პირიდგან დორბლი გადმოსდიოდა. ღვიძება დაიწყო, მაგრამ ვერას გზით ვერ გამოაღვიძა. შემოეხვია გარშემო იქ მყოფი ხალხი, ყავა და მაწონი დაალევინეს, იქნება როგორმე მობრუნდესო, მაგრამ ვერა უშველეს-რა, კრიჭა ისე მაგრადა ჰქონდა შეკრული, რომ იარაღით ძლივს გაუხსნეს. ამ დროს სტოლზე ნახეს ყარანდაშით ნაწერი ბარათი, რომელშიაც ეწერა: „მე თვით მოვიწამლე თავი და არვის დააბრალოთო“. „ამასთან ერთს ვიღაც ქალზე იყო ნათქვამი, რომ როცა გაიგებს ჩემს თავის მოწამვლას, იქნება მაშინ მაინც დასტანჯოს სინიდისმაო“. ფოლადოვი 26 წლის კაცია და სასიკვდილო არა სჭირს-რა.

*** დღეს „Кавказъ“-ში ერთი მცირე შენიშვნაა დაბეჭდილი ექიმის პანტიუხოვისა. პანტიუხოვი სწერს, რომ ტფილისში და მთელს ამიერ-კავკასიაშიაც ძალიან გავრცელებულია მცენარე გენაგერჩაქას (Rhicina Comm.). ამ მცენარეს ბაღჩებში და ბალკონებზედ სთესავენ, რადგანაც მაღლად იცის გაზრდა. კარგია მხედველობაში იქონიონ, რომ იმის თესლი, განსაკუთრებით მოუსვლელი, დიდად მაწყინარია. ამას წინად ერთმა 12 წლის ყმაწვილმა ჩემს ბაღში ორი გენაგერჩაქის თესლი მოჰგლიჯა და სჭამა. რამდენსამე წუთს შემდეგ პირს საქმობა დააწყებინა, მუცელმა გვრემა-ტკივილი დაუწყო და საზოგადოდ ისე გახდა ავად, თითქო საწამლავი დაულევიაო. მხოლოდ მეორე დღეს გამობრუნდა საბრალო ბავშვი ექიმის დახმარების შემწეობითაო.

*** ამას წინად ორიოდე სიტყვა გვქონდა ნათქვამი ბ-ნ სევასტის პოემა „მაკარიოზის“ შესახებ. იმ ორიოდე სიტყვის გამო ახირებული პასუხი მოგვივიდა თვით ავტორისგანვე. ვბეჭდავთ იმას წერილს, მხოლოდ თითო-ოროლა უმართებულო სიტყვის გამოკლებით.

„ბატონო რედაქტორო! „ივერიის“ № 175 იყო შენიშვნა, რომელიც გამოეწვია ჩემს პოემას, რომლის სათაურიც არის „მაკარიოზი“. იმ შემნიშნავს სრულებით არა აქვს ხათრი არც მართლ-მსჯელობის და იოტის ოდენი ცოდნა პოეზიის და ლექსთა-წყობის წესების. ეს სჩანს მისი უდიერი და ავ-ენა შენიშვნისაგან. პროვინციალიზმები“ ჩემი პოემის მევე მაქვს წიგნაკის ბოლოს ახსნილი, მაშ ირონიული განმარტება მისი უადგილო იყო. რაიცა შეეხება ლექსთა-წყობას და პოეზიას მოთავსებულს ჩემს პოემაში, საჭიროა საქმის მცოდნე კაცისაგან მარტო შეძლვნაზევე თვალის გადავლება. ბატონს შემნიშნავს და არა მცოდნე დამფასებელს ალბათ რომ მეორე თავი პოემის არც-კი უხილავს, თორე ვიღაც იმ ლექსებში პოეზიას ვერ იგრძნობს ის ღირსი არ არის დამფასებლობის და ესტეტიკური გრძნობით ლატაკია. აქედგან სჩანს, რომ ჩემს ჰაეროვან კრიტიკოსს სალერღელი ჰქონია აშლილი უსაფუძვლო გინება-ლანძღვისთვის იმ დროს, როცა ჩემი საცოდავი პოემა ჩავარდნია ხელში. პოეზია არ არის მაშ იმ ლექსში, რომელსაც ჰგალობს მწყემსი ქალი? არა, ის ვინმე შემნიშნავი ამ წიგნის მკითხავ-საზოგადოებაში გავრცელებას ვერ შესწყვეტს და ვაი იმას, თუ მისი შენიშვნა იყო სამარცხვინო ლანძღვა-გინება. ჩემთვის ბევრს არ ნიშნავს ამ წიგნისთვის დახარჯული ფული. უფასურად გავსცემ მას და გავაგზავნი ყოველ დაწესებულებაში, სადაც ცოტათი მაინც ფეთქავს ქართველის გული. ასში ერთი მაინც წაიკითხავს და თვითონ გაწითლდება, რომ ისეთ უპირისწყლო შენიშვნას აძლევს „ივერიაში“ ქართველი ამ პოემას. ჩემს წიგნში ბევრი ნაკლულევანებაა და კორექტურული შეცდომები, მაგრამ ღირსება კიდე მეტია,— ეს აზრი მარტო ჩემი არ არის და არც ისეთი პირებისაა, როგორიც ის შემნიშნავი ბრძანდება. მე მინდა პირ-უთვნელი მკითხველი, რომელსაც ჩემის მხრით მე ვაძლევ უფრო მეტს საფიქრალს და საგრძნობელს ამ წიგნით, ვიდრე ვინმე შემნიშნავს ჰგონებია.

დავრჩები თქვენი მონა სევასტი.

ყვირილა.

*** ამ თთვის 22, პოლიციის მეხუთე ნაწილში, ოქრომჭედლების ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელმა არშაკ ბეგლიაროვმა თავისისავე გაუფრთხილებლობით გულ-მუცელი დაიწვა მაგარის არყით. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ამავე დღესვე, საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზე, პოლიციის მეორე ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ანანოვის სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, დილის $8\frac{1}{2}$ საათზე, რკინის გზის სახელოსნოს მახლობლად ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა ხის ფარდული, რომელშიაც ნავთი იდგა. ცეცხლი შინაურულად ჩააქრეს.

*** 22 ამ თთვისას, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ვენეციის სასტუმროში მყოფს სამთო მრეწველობის მწარმოებელს ნიკოლოზ დიმიტრიძეს მაკროპულოს, სტეფან ივანოვსა და გრიქუროვს შერჩეულის გასაღებით მოჰპარეს ტანისამოსი და ფული, სახელდობრ: მაკროპულოს 60 მან. ტანისამოსი, რომელშიაც ფულად იყო 1807 მან., თამასუქად—2000 მან. გრიქუროვს მოჰპარეს 21 მან. ტანისამოსი და ფულად 20 მ. ეჭვი მიიტანეს ამავე სასტუმროში მოსამსახურედ მყოფს მეჯვრისხევის მცხოვრებელს ნიკოლოზ ზურაბის ძეს მახათაძესა და ქვემო აკულისის მცხოვრებელს თომა ტატასიანზე, რომელთაც ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თიანეთი, 20 აგვისტო. თიანეთის საზოგადოებას შეადგენს შვიდასი კომლი. ადვილად წარმოსადგენია, როგორი მამასახლისიც არის საჭირო ამოდენა ხალხისათვის. აქამდის თუ გამოცდილის და უსწავლელ კაცს შეეძლო თიანეთის მოვლა, ამას შემდეგ ძალიან ძნელი იქნება, რადგანაც ამ ბოლოს დროს ხალხმა იმატა და მამასახლისის მოვალეობის აღსრულება უფრო რთული, უფრო საძნელო შეიქმნა. წარსულს კვირას მაზრის უფროსის განკარგულებით თიანეთში შეიკრიბა თითქმის ქუდზედ კაცი მამასახლისის ამოსარჩევად. აქ მაზრის უფროსმა მიჰმართა ხალხს შემდეგის სიტყვებით: „ხალხო! იცით რა არის მამასახლისი? მამასახლისი ისეთივე უფროსია ხალხისა, როგორც მამა შვილებისა; როგორც მამა ჰზრუნავს თავის შვილებისათვის, ისე მამასახლისი უნდა ჰზრუნავდეს ხალხისათვის; როგორც უგუნურს მამას შეუძლიან გაუბედუროს თავისი შვილები, აგრეთვე ცუდს მამასახლისს შეუძლიან უკუღმართად ატაროს ხალხი. თქვენ მრავალჯერ გიჩივლიათ, რომ ზოგიერთებს უსამართლოდ გვექცევიანო. აი, ეხლა გაქვთ დრო, ამოირჩიეთ ისეთი კაცი, რომელიც ერთგვარს მამობას უწევდეს მდიდარსაცა და ღარიბსაც, ქვრივსაც და ობოლსაც, პატარასაცა და დიდსაც; ყველაზედ ერთგვარად ისმაროს მინიჭებული უფლება. გაფრთხილებთ ყველას ეხლავე; თუ ამოირჩევთ იმისთანა კაცს, რომელიც ღირსი არ იქნება თქვენის ნდობისა, მაშინ ვიშუამდგომლებ უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ თითონვე დაგინიშნონ მოხელე და თქვენის ჯიბიდგან აძლიონ ყოველ წლივ ჯამაგირი!! ამას შემდეგ დააფიცეს ხალხი, რათა კეთილსინიდისიერი კაცი ამოირჩიონ მიუდგომლად მამასახლისად და არ მიაქციონ ყურადღება არც ფულს, არც სიღარიბესა და არც სხვა რამე მიზეზს. ხალხმა ფიცის ფურცელზედ მოაწერა ხელი და დაიწყო მამასახლისის არჩევანი. ერთხმად მამასახლისად დაასახელეს წინანდელი ნამამასახლისარი მოხუცი ზაქარია ახალკაციშვილი და იმედიცა აქვს ყველას, რომ იმის ამორჩევით აღმოფხვრება ძირი იმ უსამართლოებას, რომელიც აქამომდე ჰსუფევდა; მხარს მისცემს ახლად დაწყებულს საქმეს და ჩააგონებს ხალხს, ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვას.

---

მაია. (წამოვარდება) რას ამბობ?.. გენაცვათ, ნუ გამცემთ?..

ბაბე. დაჯე!.. კარგი, სოლო, დედაკაცი ნუ გააგიჟე!

სოლო. მე ხუმრობა როდი ვიცი!..

მაია. გენაცვათ, სარდაფში დამმალეთ, ან სადმე ბელელში და უთხარით, რომ თავი დაირჩოთქო წყალში!.. ვუი, ვუი, ვუი!..

სოლო. ბოქაულმა თქვა, რომ მაინც დედაკაცი რომ ქალს გაათხოვებს, კუდი გამოუაო, ასე რომ აქ საკვირველი არაფერიაო.

მაია. აგე, გონია ბოქაული მოდის, დამმალეთ!.. ვუი, ვუი, ვუი!..

სოლო. ჰა, ჰა, ჰა!.. მამაო, აქეთ მობრძანდი, აქ არი მაია!.. ჰა, ჰა, ჰა!..

ბაბე. ვერა ჰხედავ ხუმრობს?

მაია. არა, არა ხუმრობს... ვუი, ვუი, ვუი!..

სოლო. (ხარხარებს) ჰა, ჰა, ჰა!.. ჩქარა მოდით, თორე დაიმალა ბელელში!.. ჰა, ჰა, ჰა!..

მაია. ხუმრობდი, შვილო? მითხარ.

სოლო. (სიცილს იჭერს) რა დროს ხუმრობაა, ადამიანსა ჰდაღავენ ცხენიეთა... ჰა, ჰა, ჰა!..

ბაბე. არა გცხვენიან, დედაკაცო, ამოდენა მოხუცი როგორ გაგაბრიყვა სოლომ? (იცინის).

სოლო. (ხარხარებს) ჰა, ჰა, ჰა!.. ექ გული არ შემიღონდეს-და!.. (ხარხარით გავარდება მეორე ოთახში, უკან მიჰყვება მელო და მერე გიორგი).

VIII გამოსვლა

ბაბე და მაია

მაია. კნეინავ, ხუმრობდა, თუ მართალს ამბობდა?

ბაბე. (იცინის) რას ამბობ, დედაკაცო, ვერა ჰხედამდი, რომ ხუმრობდა? აბა შენგან არა მიკვირს, რა საფიქრებელია, რო ადამიანებსა ჰდალავდნენ?

მაია. უი, ნუ მომაგონებ, გენაცვა, გული გადმომიბრუნდა, ეხლა ჩაჯდება გული თავის ბუდეში როდისმე? როგორღაც ცუდად მიცემს.

ბაბე. დაჯე, ადამიანო, მოისვენე, გულს არა უჭირს-რა.

მაია. (დაჯდება) ძალიან მიფრიალებს გული; ვინ იცის, ჩაჯდენა-ღა ეხლა თავის ბუდეში?

ბაბე. გეტყობა, ფერზე მოხვედი. არა გრცხვენიან, სოლოს როგორ გააბრიყვენებინე თავი?

მაია. ძალიან ცუდი ხუმრობა იცის ხოლმე დალოცვილმა. აბა, კნეინა, ფერზე როგორა ვარ.

ბაბე. სწორედ თურაშაული ვაშლი ხარ, აღარა გიჭირს-რა! ღვინო ხომ არ გინდა.

მაია. არა, რა მეღვინოება! მგონია, გამოვბრუნდი, არა? აბა შემომხედე.

ბაბე. გეუბნები, მშვენიერი ფერი გაძევს-მეთქი სახეზე; თუ გინდა ბაღისაკენ გავიაროთ.

მაია. აბა შემომხედე სახეზე, გული თავის ბუდეში ჯდება აი, ვატყობ.

ბაბე. ახლა სწორედ კარგადა ხარ.

მაია. დასწყევლა ღმერთმა იმისი ეშმაკი, სხვა ნაირი ხუმრობა იცის. ვინ მოდის, ქა?

ბაბე. (იცინის) ბოქაული ხომ არა გგონია? თამაზის ფეხის ხმაა.

მაია. ძალიან დავშინდი, გენაცვა.

IX გამოსვლა

იგინივე და თამაზი

შემოდის მხიარული

თამაზი. ოოო, მაიას გაუმარჯოს! რა ხატი ვილოცოთ, რა ანგელოზს შავწიროთ მადლობა? სადა ხარ, რომ არა სჩანხარ, ადამიანო?

მაია. როგორ კეთილად მოგიკითხო, კნიაზო? გეტყობა, კარგადა ბრძანდები და ქვეყნიერობის მადლიერიცა ხარ. დავდივარ აქეთ-იქით, უგზო-უკვლოდ, როგორც ერთ ქერივოხერს შეეფერება.

თამ. დაბძანდი, რად ადექი! მეც ღვთის წყალობის ღირსი არა ვარ, ვინ იცის, რამდენჯერ სასიკვდილოდ გადურჩენივარ, რამდენჯერ შიმშილი გვერთ აუტარებია, რამდენჯერ უნახვივარ დაცემული და წამოუყენებივარ.

ბაბე. ნეტავ რამ მოგიყვანა ლოცვის გუნებაზე? უთუოდ ფულს იშოვნიდი სადმე?

თამ. მაშ განა სხვანაირით უხეირო ვარ? გაგზავნე ბიჭი ხაჭაპურას დუქანში, იქ სამი გირვანქა თართი მიყიდნია და ორი გირვანქა ხიზილალა, ელიგულაშვილის დუქნიდგან ხუთი კაროპკა სარდინკა... სამი საზამთროც იქვეა მიბარებული.

ბაბე. მერე რად გინდა, რომ მაგოდენა საგძალსა ყიდულობ, შიმშილობაა, თუ რა ამბავია? რად გინდოდა, რო სარდინკებსა ყიდულობდი, ხვალ ზევით ხომ არა გექნება-რა?

თამ. რა ნაირი სულ-მოკლე ადამიანი ხარ, ასე გონია სომხის ჯილაგისა იყო! არა სჯობია, მომეტებული იყოს, რომ მარტო ყურებით გაძღე? მერე რა თართია, რა თართი!

ბაბე. ფული ვინ მოგცა, იალალაშვილმა?

თამ. შენ რა საქმე გაქვს? შენ ხილი ჭამე, მებაღეს რასა კითხულობ? იქნება მოპარული მაქვს?

მაია. კნეინა, ძალიან ვაჟკაცი გყავს ქმარი: კაცი ყოველთვის ეგეთი უნდა იყოს. ჩემი განსვენებული ბეჟანიც ამისთანა ხასიათისა იყო: ხორცს მოვიტან, საჭმელი მოხარშეო, თუ არადა ხმელ პურზე გადაიარეო, ფულის მოგების საქმეს დედაკაცის ჭკუა როგორ მისწვდებაო?

თამ. მაშ, კაცო! დედაკაცს ღმერთმა უბრძანა: გძელს თმას იმიტომ გიდებ კანონად, რო ჭკუა თმად გამოგივიდესო და ჭკუით კაცზედ დაბლა იდგეო: ამიტომაც აკი თმა-გაკრეჭილი ქალები ვაჟებსა ჰგვანან და ჭკუაც კაცური აქვთ.

ბაბე. რა დროს ეგენია? უმჯობესია, როდისმე ფიქრად იქონიო შენი ეხლანდელი მდგომარეობა: დასანიშნავი ვაჟი გყავს და გასათხოვარი ქალი, პატრონობა უნდათ.

თამ. ისეც არა უჭირთ-რა. სოლო მაზრის უფროსთან შევა მწერლად, მელო ხომ გიორგის არ ასცდება. აბა სხვა საფიქრებელი რა მაქვს?

ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვა ძლიერ ადვილია, რადგანაც განაჩენიც დადგენილია და ორას კაცზედაც მეტს უწერია ხელი; საკმარისია ახალი მამასახლისის მხრით ხსენებულ განაჩენზედ ორასმა კაცმა კიდევ მოაწეროს ხელი და საქმე გათავებული იქნება. ზაქარია ახალკაციშვილისაგან იმის იმედიცა გვაქვს, რომ ჩააგონებს თავის ხალხს და აღარ გაატარებინებს ეგრედ წოდებულ „ახლაკატებს“ თავის სამამასახლისოს, თორემ, ფული-კი არა, მათრახებიც აღარ შეარჩინეს ხელში ერთ უბრალო არზის წაბლაჯვნისათვის. ან რად უნდათ არზამარზები საცოდავებს, მაგრამ რომ აღარ ეშვებიან და დილით საღამომდის თან დასდევენ, რა ჰქნან, რომ არ დააწერინონ? სხვათა შორის იმის იმედიცა აქვთ ახალი მამასახლისისა, რომ ისე უსამართლოდ აღარ ატყეპინებს თავის გლეხებს გულზედ ქონ-მოკიდებულ კაკებატონებს და თავის დროზედ ჩააბარებინებს დაქირავებულის ცხენის ფასს, ურმისას, თავის სამუშაოს და სხვას, თორემ გლეხებს ასე ჰგონიათ, კიდევ კალდებულები იყვნენ ცხენიც მუქთად მიართვან და თითონაც მუქთად ემსახურონ. ისიც ურიგო არ იქნება, თუ ქურდ-ბაცაცებს გაამევებს თიანეთიდგან, თორემ წარსულ კვირას ხუთი ქურდობა ზედიზედ მოხდა: გასტეხეს ფურნის კლიტე და თხუთმეტ თუმნამდის ფული წაიღეს, გასტეხეს აკოფოვის დუქანი და ოც-დაათი თუმანი წაიღეს, იმავე ღამეს გასტეხეს ერთის გლეხკაცის სახლი და ცხრა თუმან ნახევარი ფულად წაიღეს და დანარჩენი ავეჯეულობა, გამოუთხარეს საზამთროს დუქანს სამირკველიდგან ძირი და ორასი საზამთრო მოიპარეს, მოჰგლიჯეს დეპეშათა სადგურის კარი და ფიცრები, სხვა რომ ველარა ნახეს-რა, და წაიღეს; წვრილმანი ქურდობანიც რომ დავასახელოთ, ძალიან შორს წაგვიყვანს. ზემოდ ჩამოთვლილი ქურდობანი ერთის კვირის განმავლობაში მოხდა და ნუ თუ ამას პატრონი არ უნდა? ნუ თუ ასე უნდა ინავარდონ ქურდებმა?... ნუთუ ამოდენა უწესოებას არ უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება?

X.

## რუსეთი

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ პროექტი შეიმუშავა, რომ რუსეთის დასავლეთ მხარეში სახელმწიფო საწყობები გაიმართოს მარილისა.

— ფოსტისა და ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს განზრახვა აქვს შემოიღოს ერთ გვარი დეპეშები, რომელიც ისე ჩქარა არ მიუვა პატრონსა, როგორც ახლა მისდის, თუმცა ფოსტით გამოგზავნილს წერილზე-კი ადრე ჩაჰბარდება. ეს განზრახვა ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობისა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ქამად ძლიერ ბევრი დეპეშა იგზავნება აქეთ-იქით, დროზე ჩაბარებას ვერ ასწრობენ და ძალა-უნებურად უგვიანდება პატრონს.

— ხალხის ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოებას ამ მოკლე ხანში წარედგინება მოხსენება ბერლინის საერთაშორისო სამკურნალო კონგრესის შესახებ. ამასთან ერთად საზოგადოება განიხილავს იმ საგანსაც, რომ ყაზანის გამოფენაზე სამკურნალო განყოფილებაც გაიმართოს.

— როგორც ანგარიშებიდგანა სჩანს, სამხედრო სამკურნალო აკადემიაში და უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტებში სულ 775 კაცს გაუთავებია. ამათგან დოქტორების ხარისხი მხოლოდ 90 კაცს მიუღია, დანარჩენთ მკურნალების წოდებით დაუმთავრებიათ კურსი.

— უკანასკნელ აღრიცხვიდგანა სჩანს, რომ მთელს რუსეთში მკურნალი ქალი სულ 472 ყოფილა. ამათგან ზოგი ერობათა საავადმყოფოებში ჰმსახურებს და ზოგიც სამსახურში სრულიად არ ითვლება.

— მომეტებული ნაწილი იმ ხალხისა, რომელიც პოლშიდგან სხვაგან მიდის დასასახლებლად, უფრო პოლოცკის გუბერნიისაა, რადგან ეს გუბერნია ყველაზედ ულარიბესია. ხალხი იმ გუბერნიებიდგანაც ბლომად მიდის, რომელიც საზღვარს ახლო მდებარეობს.

ყველაზედ მეტი ამ ქამად უფრო ლოდზიდგან მიემგზავრება. იქაურ ქარხნების მომუშავენი ძალიან ბლომად იხიზნებიან. მიდის ეს ხალხი ფოსტაში და აუარებელს წერილებსა ჰგზავნის ლისაბონში ვილაც გოსსე დოს სანტოსის სახელზე. იმდენი წერილი მივიდა ფოსტაში ამ კაცის სახელზე, რომ ფოსტის გამგეობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და საქმის გამოკვლევას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ ეს გოსსე დოს სანტოსი აგენტი ყოფილა რიო-ჟანეიროს კამიტეტისა, ბრაზილიიდგან გამოუგზავნიათ, რომ ხალხს ურჩიოს, ბრაზილიაში გადასახლდითო. 8 აგვისტოს გოსსე დოს სანტოსის სახელზე 110 წერილი მივიდა ლოდზის ფოსტაში, ორი დღის წინად-კი, 6 აგვისტოს, 150. რაც დრო მიდის, წერილები უფრო-და-უფრო მეტი მიდის. მომეტებულს ნაწილს წერილებისაზე სულ ერთის ხელითა აქვს ზედ-წარწერილი ადრესი. დამწერი თვით ლოდზშივე აღმოჩნდა, ვილაც ბეკია გვარად და ისიც აგენტი ყოფილა რიო-ჟანეიროს კამიტეტისა. ამ კაცს დუქანი აქვს სასმელებისა და მუშა ხალხი ძლიერ ეტანება. კიდეც ეს კაცი აქეზებს და ასწავლის თურმე გზას, როგორ და რა გზით უნდა გადასახლდნენ ბრაზილიაში. ყოველ დღე ასი და ორასი კაცი მიემგზავრება ქვეითად საზღვარ გარედ, რომ შემდეგ ამერიკაში წავიდეს. წინად დღეში 4 — 5 კაცზე მეტი არ მიდიოდა, მაგრამ ეხლა-კი ერთი ათად და ოცად იმატა წამსვლელთა რიცხვმა. მომრიგებელ მოსამართლეებს ლოდზისას ყოველ დღე აუარებელი თხოვნა მისდით, რომ ამა-და-ამ კაცს წამირთვით ვალიო. ეს გარემოებაც იმის მიზეზია, რომ ხალხი იყრება, სხვაგან მიდის და ვისაც ვისი რა ჰმართებს, ეჩქარება, რომ დროზე გამოართვას და არ დაეკარგოს. მომეტებულ ნაწილად ამერიკაში უფრო პოლშელები იხიზნებიან. 100 კაცში მხოლოდ 40-ია გერმანელი, ებრაელი და ჩეხი, დანარჩენი-კი სულ პოლშელები არიან.

## იმპერატორი ვილჰელმი

ამ ქამად მთელის ევროპის ყურადღება გერმანიის ახალგაზდა იმპერატორსა აქვს მოქცეული და ყველას აოცებს თავისის მოღვაწეობითა და ხშირის მოგზაურობით. ეს საოცარი ადამიანი ხან ერთს რომელსამე საზოგადო საქმეს ასტეხავს ხოლმე, ხან შესანიშნავს სიტყვას ამბობს, ხან წირვას იხდის თავის ხომალდზე და ხან ახალს მუნდირების მოგონებაშია. ამ გვარად ყოველ დღე ამ 30 წლის ჰოჰენცოლერნის ამბები გაისმის და ყველანი დიდის ცნობის-მოყვარეობით ადევნებენ თვალ-ყურს ყოველსავე იმის ნაბიჯის გადადგმას. თვით გერმანიაში ხომ თვალს არ აშორებენ თავის იმპერატორს. ამ აზრისაა ვილაც ინგლისელი დეპუტატიც, რომელის წერილიც გაზეთ „Pall-Mall“-შია დაბეჭდილი. იგი იუწყება, რომ გერმანია ძალიან მადლიერია ბისმარკის თავიდგან მოშორებას და ყველა ვილჰელმ II-ის სახელსა ჰლოცულობს. ბისმარკი ძალიან ცუდსა სჩადის, რომ გაზეთის კორესპონდენტებს უმხელს თავის უსიამოვნებას და ყველას არწმუნებს, რომ გერმანიაში საქმეები ძალიან ცუდად სწარმოებსო. თუ ასეთს საქციელს არ მოიშლის, გერმანიის ერი მეტად მოიძულებს და იმის ღვაწლსაც-კი დაივიწყებს, რადგან იმპერატორის სახელი დღითი-დღე უფრო და უფრო იფინება ხალხში. იმის გამეფების დროს გერმანიის ხელ-მოკლე მკვიდრნი ძალიან უფრთხოდნენ, ომს არის მოწადინებულიო, მაგრამ ეხლა იგი, როგორც დარწმუნდნენ, მშვიდობიანობას არის მოწადინებული, რუსეთს არა მტრობს, დედას შეურიგდა და ჯარსა და ხალხს ჰმეგობრობს და ამიტომ ყველას უყვარს. ამას გარდა ჯარის-კაცების განათლებასაცა სცდილობს. ამის შესახებ აი რა ანეკდოტი დადის ხალხში: ამას წინად, ნორვეგიაში წასვლის წინ, იმპერატორი ერთს ბერლინის რაზმში მივიდა, ჰნახა, რომ ერთი რომელიღაც აფიცერი თავის დროზედ არ მივიდა გაკვეთილის მისაცემადაო, თითონ მიჰყო ხელი საქმეს და როცა ის აფიცერი მოვიდა, იმას გადასცა ჯარის-კაცები, მხოლოდ „გამარჯობა“ უთხრაო. აფიცერი ძალიან ჰშიშობდა თურმე და ყველანიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ დაითხოვენ სამსახურიდგანაო, მაგრამ ორის კვირის შემდეგ ამ აფიცერს იმპერატორისაგან სათამბაქოე მოუვიდა საჩუქრად და ეს იყო და ეს, ამითი გათავდა საქმე.

ბისმარკის დროს იმპერატორთან ძნელად მიდიოდა ვინმე, ეხლა-კი თავისუფლად შეიძლება მისი ნახვა, მუშებს ელაპარაკება, გამოჰკითხავს ხოლმე მდგომარეობას და არავის ერიდება. ამას გარდა ხალხში დიდის ქებით მოუბნობენ ერთმანეთს, რომ იმპერატორი მთელი დღე ჰმუშაობს, დილის ხუთს საათზედა დგება და თერთმეტის ნახევარზედ იძინებსო. ვილჰელმი თავის შვილებს ისევე ჰზრდის, როგორც უბრალო ხელოსნის შვილები იზრდებიან, არც მდიდრულ ტანისამოსის ნებას აძლევს და არც კუჭის ნებიერობისას. უფროსებს გიმნაზიაში უპირებს მიბარებას, მემკვიდრე პრინცს-კი ამას წინად უარი უთხრა და თუთიყუში არ უყიდა, თუმცა ყმაწვილს ძალიან უნდოდა, ამ ფრინველისათვის ლაპარაკი ესწავლებინა. იმპერატორმა დასტუქსა და გამოუცხადა, რომ თუთიყუშთან ლაპარაკი უბრალო დროს დაკარგვააო.

ძალიან საყურადღებოა ვილჰელმ II-ის ხასიათის გამოსარკვევად ახალგაზდა ამერიკელ პულტნეა ბიჯელოს წერილები, რომელნიც გაზ. „Indépendance Belge“-ში დაიბეჭდა. ეს ბიჯელო ბერლინში ნამყოფ ამერიკის ნაელჩარის შვილია და ვილჰელმსა და იმას ყმაწვილობა ერთად გაუტარებიათ. ჭაბუკი ამერიკელი დიდის თანაგრძნობით იხსენიებს თავისს გვირგვინოსან ამხანაგს და დარწმუნებით ამბობს, რომ აწინდელი გერმანიის იმპერატორი ჭკუითა, ცოდნითა და ხასიათის სიმტკიცით ყველა თავის წინაპრებს აღემატება, ფრიდრიხ დიდის გამოუკლებლადაც-კიო. „იქნება ეს ჩემი სიტყვები გაზვიადებულად ჩასთვალოთ, მაგრამ მოითმინეთ ცოტა, მომავალი დაამტკიცებს ჩემს სიტყვების სიმართლეს. ხოლო ვინც ვილჰელმს ყმაწვილობიდგანვე იცნობს ისე კარგად, როგორც მე ვიცნობ, ის მაშინვე დამეთანხმებაო. აშკარაა, პირველში შეიძლება ბევრში შეცდომაც მოუვი-

---

ბაბე. სწორედ გაკვირვებული ვარ შენის ბავშურის ლაპარაკით, აბა ჭკუადამჯდარი ადამიანი მაგას იტყვის? ერთი მითხარ, ან სოლოს, ან გიორგის და ან მელოს რა აქვთ? ღმერთმა ნუ ქნას, ეხლა რომ ოთხნივე ერთბაშად დავიხოცნეთ, დაუმარხავი დავრჩებით, ან სამადლოდ დასამარხი გავხდებით.

თამ. ეჰ, საქმე გამოგწყვეტია შენცა! სიკვდილს რა ხელი აქვს ჩვენთან? ახლა ჩემი საქმე გაჩაღებულია: სოლო დავაბინავე და მელოს საქმე ხომ ეჭვს გარეშეა, ეხლა მხოლოდ ჩემი თავი მაქვს საზრუნველი.

ბაბე. ქალაქში წასვლისას ამბობ რაღა! იქნება დააგირავე კიდეც?

თამ, ქალაქში წაუსვლელი არ დავდგები, რაც უნდა იყოს. მთელი საქართველოს კეთილ-შობილობა იქ იკრიფება და მე ერთხელაც არ დავესწრო? ჩვენის გვარეულობისათვის ხომ სირცხვილია!

ბაბე. მერე რა უნდა გააკეთო იქა? გაგონილა ამისთანა დაუდევრობა!

თამ. როგორ თუ რა გავაკეთო? ო, დედაკაცო! შენა გგონია, რომ უწრო ქერქში ზიხარ და ქვეყნიერობისა არა გაგეგება-რა, განა ვაჟკაციც მაგ ყოფაშია? ქართველი ვარ, უნდა ქართველობას შევეწიო; ვერა ჰხედამ, როგორა ნათლდება ჩვენი ქვეყანა, სოფლებშიაც-კი სკოლები დამართეს? მე-კი! მე-კი გულ-ხელ დაკრეფილი შევყურო ამისთანა ამბებს?

ბაბე. ეგენი სად გაგიგია? სწორედ ვინმემ გადაგრია! ვაიმე, ვაიმე, კნიაზო თამაზ, რად დაგვიწყებია ძველებური ქართული ანდაზია: ღარიბი გამცემი ღმერთსა სძულდაო!

თამ. შენ რას გაიგებ ჩემს სიტყვებს? ვაჟკაცის ჭკუა უნდა ამას, ვაჟკაცისა? საქართველოს შვილი ვარ, ვალად მაქვს, დაცემული ქვეყანა უნუგეშოდ არ დავტოვო.

ბებე. მაკვირვებ სწორეთ, სად გისწავლია ნეტავი? ის გირჩევნია, შენს დონეზე იყო. შინ რო ბალღები გიტიროდნენ, გარეთ ტაბლას რა უნდაო? თუ ღმერთი გწამს, ქინიანობას თავი დაანებე.

თამ. ქინიანობასა? აბა ერთი მითხარ, რას გაიგებ ჩემს სიტყვებსა? ჯერ ხომ განათლება გაკლია და მერე დედაკაცი ხარ. ისა სჯობია, შენ ხორავი მაატანინე. სოლო შინ არის?

ბაბე. ჰნახავ, თამაზ, თუ შენ ერთი უბედურება არ დაგვტეხო თავზედ. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე-კი ხელი დამიბანია.

თამ. ნუ მოჰყვები, ქალო, შენს გარდას! სოლო შინ არის-მეთქი?

ბაბე. შინ არის. ეხლა ბაღში იქნება და გიორგი და მელოც იქ იქნებიან.

თამ. გიორგი ავად ხო არა ყოფილიყო?

ბაბე. არა საქმემ დამაბანდაო სოფელში.

თამ. სოლო იყო მაზრის უფროსთან? უეჭველად მოვიდეს და მნახოსო.

ბაბე. არ ვიცი, არ მიკითხნია. არა მგონია-კი, რომ ყოფილიყოს, თორემ როგორ არ იტყოდა? ხომ იცი, რა ამპარტავანია.

თამ. ამპარტავანი, ამპარტავანი! არ გაგიგია, მათზე რა არის ნათქვამი? მეც ვიყავი ამპარტავანი, მაგრამ ამპარტავნობა შორს გადავდე იმიტომ, რომ კუჭი ვერ გამიძლო. ამპარტავანი, ამპარტავანი! ამპარტავანი-კი არა, უგუნური, ბედოვლათი კამბეჩია! ოც-და-ორი წლის ვაჟკაცია და მამას აწევს კისერზე. მე რომ მაგრე ვყოფილიყავი, თავს მოვიკლავდი. ამპარტავანი! ვირია სწორედ!

— მაია. დამშვიდდი, ჩემო ბატონო. აბა, რათა ცხარობ!

თამ. როგორ არ გაბოროტდეს ადამიანი, როცა ამისთანა უმაქნის და გამოუდეგარ მხეცისთვის ტყავს იძრობ, კარი-კარ დადიხარ, იმ ვირს-კი ამპარტავნობა ამოუჩრია ილლიაში და თავის-თავი ხელმწიფე ჰგონია. სისხლი გამიშრო სწორეთ! თუ როდისმე გავგიჟდები, ეგ დათვი იქნება დამნაშავე, სხვა არავინ!

ბაბე. აბა, თამაზ, ტყუილად რად იშრობ სისხლს, იქნება იყო კიდეც ან თუნდ არა ყოფილიყო, რა მომხდარა ცუდი? ადგილს ხომ აძლევენ.

თამ. ოხ, ღმერთო ჩემო! ორმოცდა-ხუთი წელიწადი ვსცხოვრობ დედამიწის ზურგზე და რით ვერ გაიგე ერთხელ მაინც, რომ ყველას პატივი უყვარს და ამპარტავნობა ეჯავრება, მეტადრე თავისზე უმცროსისა! გინდა რომ ოც-და-ხუთ მანათზედ წინ არ წავიდეს? იქნება არც-კი იკადროს ოც-და-ხუთ მანათიანი ადგილი? მაშინ ურჩიე, თვალითაც არ დამენახოს, დავწყევლი და ისე გავაგდებ სახლიდგან.

მაია. დამშვიდდი, გენაცვალე, სოლო ისეთი ჭკვიანი და პატიოსანი ყმაწვილია, რომ დედმამის წყენას თავის დღეშიაც არ მაინდომებს.

თამ. ჰო, ჯერ არც ერთხელ არ უქნია მაგაზე უარესი, იმის თავის გათქვლეფამ! (გაჯავრებული გადის მეორე ოთახში).

X გამოსვლა

ბაბე და მაია

ბაბე. (ტირის) ღმერთო, ამაცილე აუცილებელი!

მაია. აბა რასა შვრები, კნეინა? ცრემლი როდი შეშვენის შენს ბრწყინვალე თვალებს?

ბაბე. (თვალებს იწმენდს) არა, ვგრძნობ, რომ უბედურება რამ არ ასცდება ჩვენს ოჯახს, სულ თამაზის ბრალი-კი იქნება.

მაია, კარგი, შენს გაზრდას!

ბაბე. ეჰ, მაი, შენ ვერ წარმოიდგენ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ყოველ ცისმარე დღეს ამ სახლში? მეშინიან, ექ ერთმანეთი არ შემოაკვდეთ მამაშვილს, ისეთი ყვირილი ასტყდება ხოლმე, რომ მეზობლებისა მრცხვენიან. თამაზამ ხომ თავის დაჭერა არ იცის, სოლო კიდევ მომთმენია. ხანდახან ხანჯლამდისაც მივა ხოლმე საქმე. აი, ამის მეშინიან აი! განა დახოცავენ ერთმანეთსა?

(შემდეგი იქნება)

დეს, მაგრამ სიბრძნეს ვინ მოსთხოვს ოც-და-ათის წლის კაცს, საპოლიტიკო ასპარეზზედ ახლად გამოსულს, სიბრძნეს, რომელიც გამოცდილებითა და ხნოვანებით მოიპოვება. თამამად შეგვიძლიან თქმა, რომ იმის ხნის ხელმწიფე არავინ ყოფილა იმისავით ნიჭიერი და ქვეყნის საპატრონოდ მომზადებულიო“.

# დეპეშა

22 აგვისტო

პეტერბურგი. საპატიმროთა მთავარ-გამგეობის უფროსი გალკინ-ვრასკი ხვალ კავკასიასა და იმიერ-კასპიის მხარეში მიდის საპატიმროების დასათვალიერებლად.

პროფესორმა მენდელეევმა გადასწყვიტა ლექციების კითხვა შესწყვიტოს უნივერსიტეტში და იმის მაგიერ გზათა უწყებისა და სამთო ინსტიტუტებში იკითხოს. უნივერსიტეტში იმის ადგილს კონოვალოვი დაიჭერს და ლექციებს 3 სექტემბერს დაიწყებს.

პროექტია იმისი შედგენილი, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებთან მექარხნეების ხარჯით რამდენიმე საზოგადო სასწავლებელი დაარსდეს. ამას გარდა სამკურნალოებიც უნდა გაიმართოს იმ ზავოდსა და ქარხანაში, რომლის რვა ვერსის სიახლოვესაც სამკურნალო და აფთიაქი არსად მოიპოვება.

ყაზანი. გუშინ საღამოზედ აქ ხომალდით მობრძანდა ფინანსთა მინისტრი დირექტორ ვიტტეთურთ. ნავთსადგურზედ მინისტრს მიეგებნენ გუბერნიების უფროსები და ქალაქის თავი. დღეს, დილის 7 საათზედ, მინისტრმა დაათვალიერა და გასინჯა 5 საათის განმავლობაში სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენა. შემდეგ მინისტრს საუზმე გაუმართეს, რომელზედაც მინისტრმა სხვათა შორის სთქვა, რომ ყაზანს უეჭველია ჩქარა შეუერთებენ რუსეთის საერთო რკინის გზასაო. ბ-ნი ვიშნეგრადსკი საღამოს 5 საათსა და 45 წუთზედ წაბრძანდა აქედგან.

ბერლინი. „Startsbuerger Zeitung“-ი ჰლაპარაკობს რუსეთში სადამოქნო გარდასახადის მომატების შესახებ და თან დასძენს: ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ რუსეთი მშვიდობიანობის პოლიტიკას მისდევსო.

პარიჟი. აქ მოვიდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე.

23 აგვისტო

პეტერბურგი. სახუროთ-მოძღვრო საქმეთა გენერალ-ინსპექტორის ამხანაგი გენერალი ზვეროვი გუშინ წავიდა აქედგან ზოგიერთ ციხე-სიმაგრეთა დასათვალიერებლად.

გენერალი ანენკოვი იმიერ-კასპიის მხარეში გაემგზავრა.

„Новости“ იუწყება, რომ სატეხნიკო საზოგადოებაში სცადეს ამას წინად ერთის რუსის სიმონ კოროლევის მიერ, გამოგონილი შორს-მსროლელი თოფი და ძალიან კარგი აღმოჩნდაო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ უმაღლესად ნაბრძანებია გამოი-

ძიონ მიზეზი ამ ჟამად პროვინციაში ცეცხლის გაჩენის გავრცელებისაო.

ინგლისელებს გარდა, ნორვეგელებიცა სცდილობენ ვაჭრობა გამართონ ციმბირის ჩრდილოეთ სანაპიროებთან და ამას წინად გაჰგზავნეს კიდეც დიდი საქონლით დატვირთული ხომალდი „ბისკაი“.

გლახა-მათხოვართა რიცხვის შესამცირებლად ფსკოვის გუბერნიაში, ერობის ხარჯით თავ-შესაფარი სახლები დაარსდა. რადგან ამ ღონისძიებამ კარგი ნაყოფი მოიტანა, ეხლა მთავრობას მოლაპარაკება აქვს, რომ სხვა გუბერნიებშიაც გაიმართოს ამისთანავე თავ-შესაფარნიო.

გუშინ ქრისტიანიაში თავი მოიყარა საერთა შორისო კონგრესმა და იმაზედ უნდა მოილაპარაკოს, თუ როგორ უნდა შემცირდეს ასე გავრცელებული ხმარება სპირტეულობისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 51 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $130\frac{1}{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $228\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 219 |
| —მესამისა | — „ | — „ | $211\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

1 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში მიღებულნი ჯან-მრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს ს. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს, განყოფილებაში შესვლას მოინდომებს იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 6) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ: სწავლას, და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შაგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარი წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შაგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, ვიდრე შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, მას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველივე გვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ · смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельскохозяйственной школы кн. Ер. К. накашидзе.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**‚ისტორიული ნარკვევი‘**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз Тифлисъ, 23-го Августа 1890 г. Типо-Литографія Е. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე